თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 23 ივნისის სხდომის ოქმი #10

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 18, სტუდენტები – 2, სულ –20 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ;
   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ;
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (მოდულური) ცვლილებების შესახებ;
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 23 ივნისის #10 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1992 წელს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის (დღე), სტატისტიკის (დღე), კრედიტის (დღე, საღამო), ფინანსების (დღე, საღამო), სახელმწიფო შემოსავლების (დღე), მრეწველობის ფინანსების (დღე - რუსული ჯგ.), მაკროეკონომიკის (დღე), ფასების დაგეგმვის (დღე), ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის (დღე, საღამო) და შრომის ეკონომიკის (დღე, საღამო, დაუსწრებელი) სპეციალობების და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა:

1. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის კრედიტის სპეციალობის 1992 წლის კურსდამთავრებულ **იოსებ მარტყოფლიშვილმა** გაურკვეველ ვითარებაში დიპლომის დაკარგვის გამო;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულ **ირინა დგებუაძემ** სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იოსებ მარტყოფლიშვილის და ირინა დგებუაძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული

სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა:

1. **იოსებ ჯემალის ძე მარტყოფლიშვილი** 1987 წელს მისაღების გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეონომიკის ფაკულტეტის საღამოს სწავლების „ფინანსებისა და კრედიტის'' სპეციალობაზე (ბრძანება №4/713, 25.08.1987).

   ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის 23 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების კურსდამთავრებულ იოსებ მარტყოფლიშვილს სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მიენიჭა <u>კრედიტის</u> კვალიფიკაცია კრედიტის სპეციალობით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1992 წლის 24 აგვისტოს №4/583 ბრძანებით კი მიენიჭა <u>ეკონომისტის</u> კვალიფიკაცია კრედიტის სპეციალიზაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

   1992 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი ЦВ №812773 (სარეგისტრაციო №01/86) რეგისტრირებულია იოსებ ჯემალის ძე მარტყოფლიშვილის სახელზე.

   საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1992 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობების სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 21 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ ოქმები არ არის დანომრილი.

   პირველი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ა. ჯანჯღავა; წევრები: პროფ. გ. ადეიშვილი, დოც. ვ. ბადრიძე, პროფ. ბ. გაბიძაშვილი; პროფ. პ. ლემომჯავა; პროფ. მ. ტურავა)* მიერ 1992 წლის 16 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

   მეორე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. გ. ერქომაიშვილი; წევრები: აკად. ვ. ჩანტლაძე, დოც. ნ. ბაგრატიონი, დოც. კ. გიგაშვილი)* მიერ 1992 წლის 23 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი, ხოლო 24 ივნისს - 5 ოქმი. წარმოდგენილ ოქმებს არ გააჩნიათ ნომრები.

მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ვ. ი. დათუკიშვილი; წევრები: პროფ. თ.ა. ჭიაბრიშვილი, დოც. მ.ვ. ტუხაშვილი, დოც. ე.გ მექვაბიშვილი)* მიერ 1992 წლის 26 ივნისს წარმოებულია 7 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომრები.

მეოთხე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (*(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ვ.რ. ახალაია; წევრები: პროფ. ო.ნ. საღარეიშვილი, დოც. მ.ვ. გოცირიძე, დოც. ი.ი. გოგოშვილი; უ/მასწ. ჰ.შ. ყარაშვილი)* მიერ წარმოებულია 6 ოქმი - 1992 წლის 14 ივნისს, 15 ივნისს, 18 ივნისს, 19 ივნისს, 22 ივნისს და 23 ივნისს თითო ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს ნომერი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის 29 მაისის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში დადგა საკითხი მეოთხე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული უნომრო ოქმების შესახებ. ამჟამად, განვიხილავთ პირველი, მეორე და მესამე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული უნომრო ოქმებს. დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნად ასო „პ“-ს დამატება.

2. ირინა დგებუაძე 2001 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფასიან განყოფილებაზე **პერსონალის მართვის** სპეციალობით (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

2003 წელს ირინა ბორისის ასული დგებუაძე პირადი განცხადებით ამოირიცხა მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის **შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობის** სპეციალობის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების II კურსის სტუდენტთა სიიდან უფასო აღდგენის უფლებით (ბრძანება №4/64, 23.01.2003).

2004 წელს ირინა ბორისის ასული დგებუაძე აღდგენილი იქნა სტუდენტის უფლებებში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის **პერსონალის მართვის** სპეციალობის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების II კურსზე (ბრძანება №4/163, 12.02.2004).

2004 წელს ფასიანი განყოფილების **შრომითი ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში** სპეციალობის ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი ირინა ბორისის ასული დგებუაძე გარიცხული იქნა გასული სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების გამო (ბრძანება №4/125, 16.11.2004).

2004 წელს ირინა ბორისის ასული დგებუაძე, რომელიც ამორიცხული იყო სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო აღდგენილ იქნას სტუდენტის უფლებებში მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის **შრომის ორგანიზაცია და მართვის** სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №4/1762, 27.12.2004).

2009 წელს ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების (სახელმწიფო დაფინანება 0%) **პერსონალის მართვის სპეციალობის** 2006 წლის კურსდამთავრებულ ირინა დგებუაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მემეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანება №862/01-04, 29.04.2009 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №7345/02, 07.04.2009).

შენიშვნა: საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ირინა დგებუაძე 2001 წელს ჩაირიცხა **„პერსონალის მართვის“** სპეციალობაზე, 2003 წლის იანვარში ამოირიცხა **შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობის** სპეციალობის II კურსიდან; 2004 წლის თებერვალში აღდგენილი იქნა სტუდენტის უფლებებში **პერსონალის მართვის** სპეციალობის II კურსზე; 2004 წლის ნოემბერში ფინანსური დავალიანების გამო კვლავ ამოირიცხა **შრომითი ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში** სპეციალობის ბაკალავრიატის III კურსიდან; 2004 წლის დეკემბერში აღდგენილ იქნა **შრომის ორგანიზაცია და მართვის** სპეციალობის III კურსზე; ხოლო 2009 წელს თსუ რექტორის ბრძანებით **პერსონალის მართვის სპეციალობის** 2006 წლის კურსდამთავრებულს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ბრძანებებში დაშვებულია უზუსტობები. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 2001-2006 წლებში წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალები. აღნიშნული ჟურნალებიდან ჩანს, რომ ირინა დებუაძე **2001 წელს ჩაირიცხა პერსანალის მართვის სპეციალობის ფასიან განყოფილებაზე, 2003 წლის იანვრიდან ამოირიცხა ისევ პერსონალის მართვის სპეცილობის II კურსიდან, 2004 წლის ნოემბერში სწავლა გააგრძელა პერსონალის მართვის სპეციალობის III კურსიდან და 2006 წელს დაამთავრა პერსონალის მართვის სპეციალობის თეორიული კურსი**.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 245 კრედიტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის

მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 29 აპრილის №862/01-04 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი.

ასევე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური გაესაუბრა იმ პერიოდის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დეკანს ბატონ ნუგზარ პაიჭაძეს. მან აღნიშნა, რომ „შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვის“ სპეციალობის მილევად რეჟიმში გადასვლის შემდეგ მიღება წარმოებდა „პერსონალის მართის“ სპეციალობაზე. ამდენად გაუგებარია, სტუდენტი „პერსონალის მართვის“ სპეციალობიდან როგორ უნდა ამორიცხულიყო ან აღდგენილიყო „შრომითი ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვის“ სპეციალობაზე. როგორც ჩანს ბრძანებებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

ამრიგად, კურსდამთავრებულ ირინა დგებუაძის პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აღნიშნული სტუდენტების სწავლის ფაქტი. სწავლის შედეგებიდან ჩანს, რომ მან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 245 კრედიტი, მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მის სახელზე გაიცა ბაკალავრის დიპლომი.

ირინა დგებუაძის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განიხილავს „ხარისხის კორექტირების შესახებ“ საკითხს.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 29 აპრილის №962/01-04 ბრძანებიდან (საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №7345/02, 07.04.2009) ჩანს, რომ ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ დავით(ი) გელაშვილს და მენეჯერის კვალიფიკაციით მენეჯმენტის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ დიმიტრი გულბანს.

ვინაიდან, არ იძებნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო ზემოაღნიშნულ სტუდენტების სახელზე გასაცემი დიპლომის ახალ ფორმაში მისათითებელია რეკვიზიტები, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩათვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

I. აღდგენილად ჩაითვალოს 1992 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია.

1. თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1992 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების პოლიტეკონომიის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 16 ივნისი*** და ნომრად ***№1/პ***;
   - ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 16 ივნისი*** და ნომრად ***№2/პ***.

2. თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1992 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული

გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების კრედიტის სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ი. მარტყოფლიშვილი) „კრედიტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 23 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების კრედიტის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „კრედიტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ფინანსების“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№3/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ფინანსების სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ფინანსების“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№4/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების სახელმწფო შემოსავლების სპეციალობის კურსდამთავრებულებს „სახელმწიფო შემოსავლები“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№5/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების მრეწველობის ფინანსების (რუსული ჯგუფი) სპეციალობის კურსდამთავრებულებს „მრეწველობის ფინანსების“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 24 ივნისი*** და ნომრად ***№6/3.***

3. თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ 1992 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№1/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ფასების დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№2/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№3/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№4/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№5/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების შრომის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№6/ბ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების შრომის ეკონომომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1992 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1992 წლის 26 ივნისი*** და ნომრად ***№7/ბ***;

4. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 1992 წლის 16, 23, 24 და 26 ივნისს წარმოებულ №1, №2 და №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1992 წლის 16, 23, 24 და 26 ივნისის*

ეკონომიკის ფაკულტეტის №1, №2 და №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

II. აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის 24 ოქტომბრის საატესტაციო კომისიის მიერ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვტეტილებებში არსებული ინფორმაცია და რეკვიზიტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პერსონალის მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთვრებულ ირინა დგებუაძის ბაკალავის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს **2009 წლის 29 აპრილი** და ნომრად **№862/3**.
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება თსუ რექტორის 2009 წლის 29 აპრილის №862/01-04 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№4733/29, 20.06.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულ ირინა დგებუაძის დიპლომის დანართი და მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან.

თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ირინა დგებუაძე** 2001 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფასიან განყოფილებაზე პერსონალის მართვის სპეციალობით (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

2003 წელს ირინა ბორისის ასული დგებუაძე პირადი განცხადებით ამოირიცხა მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაცია და

შრომითი რესურსების მართვა მრეწველობის სპეციალობის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების II კურსის სტუდენტთა სიიდან უფასო აღდგენის უფლებით (ბრძანება №4/64, 23.01.2003).

2004 წელს ირინა ბორისის ასული დგებუაძე აღდგენილი იქნა სტუდენტის უფლებებში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის პერსონალის მართვის სპეციალობის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების II კურსზე (ბრძანება №4/163, 12.02.2004).

2004 წელს ფასიანი განყოფილების შრომითი ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში სპეციალობის ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი ირინა ბორისის ასული დგებუაძე გარიცხული იქნა გასული სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების გამო (ბრძანება №4/125, 16.11.2004).

2004 წელს ირინა ბორისის ასული დგებუაძე, რომელიც ამორიცხული იყო სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო აღდგენილ იქნას სტუდენტის უფლებებში მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის შრომის ორგანიზაცია და მართვის სპეციალობის III კურსზე (ბრძანება №4/1762, 27.12.2004).

2009 წელს ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების (სახელმწიფო დაფინანება 0%) პერსონალის მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ირინა დგებუაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი *(ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის ბრძანება №862/01-04, 29.04.2009 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №7345/02, 07.04.2009).*

*შენიშვნა: საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ირინა დგებუაძე 2001 წელს ჩაირიცხა **„პერსონალის მართვის“** სპეციალობაზე, 2003 წლის იანვარში ამოირიცხა **შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობის** სპეციალობის II კურსიდან; 2004 წლის თებერვალში აღდგენილი იქნა სტუდენტის უფლებებში **პერსონალის მართვის** სპეციალობის II კურსზე; 2004 წლის ნოემბერში ფინანსური დავალიანების გამო კვლავ ამოირიცხა **შრომითი ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვა მრეწველობაში** სპეციალობის ბაკალავრიატის III კურსიდან; 2004 წლის დეკემბერში აღდგენილ იქნა **შრომის ორგანიზაცია და მართვის** სპეციალობის III კურსზე; ხოლო 2009 წელს თსუ რექტორის ბრძანებით **პერსონალის მართვის სპეციალობის** 2006 წლის კურსდამთავრებულს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების*

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ბრძანებებში დაშვებულია უზუსტობები. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 2001-2006 წლებში წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალები. აღნიშნული ჟურნალებიდან ჩანს, რომ ირინა დებუაძე ***2001 წელს ჩაირიცხა <u>პერსანალის მართვის</u> სპეციალობის ფასიან განყოფილებაზე, 2003 წლის იანვრიდან ამოირიცხა ისევ <u>პერსონალის მართვის</u> სპეცილობის II კურსიდან, 2004 წლის ნოემბერში სწავლა გააგრძელა <u>პერსონალის მართვის</u> სპეციალობის III კურსიდან და 2006 წელს დაამთავრა <u>პერსონალის მართვის</u> სპეციალობის თეორიული კურსი.*** *ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 245 კრედიტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 29 აპრილის №862/01-04 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი.*

ასევე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური გაესაუბრა იმ პერიოდის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დეკანს ბატონ ნუგზარ პაიჭაძეს. მან აღნიშნა, რომ „შრომის ორგანიზაცია და შრომითი რესურსების მართვის“ სპეციალობის მილევად რეჟიმში გადასვლის შემდეგ მიღება წარმოებდა „პერსონალის მართის“ სპეციალობაზე. ამდენად გაუგებარია, სტუდენტი „პერსონალის მართვის“ სპეციალობიდან როგორ უნდა ამორიცხულიყო ან აღდგენილიყო „შრომითი ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვის“ სპეციალობაზე. როგორც ჩანს ბრძანებებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ირინა დგებუაძისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ასევე, თსუ რექტორის 2009 წლის 29 აპრილის №862/01-04 ბრძანებით აკადემიური ხარისხი მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობების 2006 წლის კურსდამთავრებულებს. კერძოდ;

- ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით გელაშვილს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციით;
- მენეჯმენტის სპეციალობის კურსდამთავრებულ დიმიტრი გულბანს - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა განიხილონ საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 29 აპრილის №862/01-04 ბრძანებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პერსონალის მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ირინა დგებუაძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით“**.
2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 29 აპრილის №862/01-04 ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება №862/01-04, 29.04.2009)*.

მოისმინეს: ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 1992 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№4816/29, 22.06.2016), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკის ფაკულტეტის 1992 წლის კურსდამთვრებულ **იოსებ მარტყოფლიშვილისთვის** კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის (კვალიფიკაცია)შესაბამისობაში მოყვანა ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებასთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **იოსებ ჯემალის ძე მარტყოფლიშვილი** 1987 წელს მისაღების გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეონომიკის ფაკულტეტის საღამოს სწავლების ფორმის, „ფინანსებისა და კრედიტის'' სპეციალობაზე (ბრძანება №4/713, 25.08.1987).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის 23 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების კურსდამთავრებულ იოსებ მარტყოფლიშვილს სადიპლომო ნაშრომების დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მიენიჭა **კრედიტის კვალიფიკაცია** კრედიტის სპეციალიზაციით, ხოლო თსუ რექტორის 1992 წლის 24 აგვისტოს №4/583 ბრძანებით მიენიჭა **ეკონომისტის კვალიფიკაცია** კრედიტის სპეციალიზაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1992 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი ЦВ № 812773 (სარეგისტრაციო №01/86) რეგისტრირებულია იოსებ ჯემალის ძე მარტყოფლიშვილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის მინიჭების შესახებ 1992 წლის 24 აგვისტოს №4/583 ბრძანების შესაბამისადა უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის 23 ივნისის სხდომის გადაწყვეტილება.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა განიხილონ საკითხი, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის 23 ივნისის სხდომის გადაწყვეტილება თსუ რექტორის №4/583, 24.08.1992 ბრძანებასთან. კერძოდ, იოსებ მარტყოფლიშვილს

მინიჭებული *„კრედიტის კვალიფიკაციის“* ნაცვლად მიენიჭოს *„ეკონომისტის კვალიფიკაცია“*.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საღამოს სწავლების კრედიტის სპეციალობის (კრედიტის სპეციალიზაციის) 1992 წლის კურსდამთავრებულ იოსებ მარტყოფლიშვილს მინიჭებული ხარისხის **„კრედიტის კვალიფიკაცია“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომისტის კვალიფიკაცია“**.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის 23 ივნისის სხდომის ოქმი)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის 1999 წლის კურსდამთავრებულ ირაკლი ნასყიდაშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№4817/29, 22.06.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის 1999 წლის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის „კომერციული საქმიანობის მენეჯერის“ სპეციალობის

კურსდამთავრებულ **ირაკლი ნიკოლოზის ძე ნასყიდაშვილის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ირაკლი ნასყიდაშვილი - გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტი - 1996 წელს ჩაირიცხა გადმოყვანის წესით თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის, კომერციული საქმიანობის მენეჯერის ფაკულტეტის მეორე კურსზე (ბრძანება №04-02/03-34 18.06.1996).

ხარისხის მინიჭების შესახებ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის ბრძანებაში (ბრძანება 04-02/03-24 19.06.1999) ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის 1999 წლის კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობის კურსდამთავრებულ ირაკლი ნასყიდაშვილს, მიენიჭა <u>**ეკონომისტ (მენეჯერის) კვალიფიკაცია და მიეცა ჩვეულებრივი დიპლომი**</u>. რაც შეეხება ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის სახელმწიფო გამოცდების საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნით ოქმა (ოქმი №3 14.06.1999), მასში მინიჭებული კვალიფიკაცია არ არის მითითებული.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რომ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი (№3) ხარისხის მინიჭების შესახებ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის ბრძანებასთან (№04-02/03-24 19.06.1999). კერძოდ, ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში დაფიქსირდეს <u>**ეკონომისტ (მენეჯერის) კვალიფიკაცია.**</u>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის კომერციული

საქმიანობის მენეჯერის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 14 ივნისის დასკვნითი ოქმი (№3) ხარისხის მინიჭების შესახებ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის ბრძანებასთან (№04-02/03-24 19.06.1999) და ირაკლი ნასყიდაშვილს მიენიჭოს **ეკონომისტ (მენეჯერის) კვალიფიკაცია.**

მოისმინეს: ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულ-თათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№4754/29, 20.06.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ლელა ზურაბის ასული პაპუნაშვილისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაკონკრეტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ლელა პაპუნაშვილი 1999 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფასიანი განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობაზე (ბრძანება №4/733,31.08.1999).

2000 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფასიანი განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობის II კურსის სტუდენტი ლელა პაპუნაშვილი გადაყვანილ იქნა ამავე ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილეაბაზე სპეციალობით „ფინანსები და საბანკო საქმე“ (ბრძანება №4/996, $7, 17.10.2000 და ბრძანება №4/1013, 19.10.2000).

თსუ რექტორის 2016 წლის 2 ივნისის №603/01-04 ბრძანებით არარად იქნა აღიარებული თსუ რექტორის 2000 წლის 19 ოქტომბრის №4/1013 ბრძანება ლელა პაპუნაშვილის ნაწილში, ვინაიდან მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო.

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18-19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1) გადაწყვეტილებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით**. რაც შეეხევა ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებას (ბრძანება 4/1203, 6.10.2004), მასში ლელა პაპუნაშვილის გვარი არ არის დაფიქსირებული.

თსუ რექტორის 2016 წლის 2 ივნისის №603/01-04 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება თსუ რექტორის 2004 წლის 6 ოქტომბრის №4/1203 ბრძანებაში და ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულთა სიას დაემატა შემდეგი პუნქტი „39. პაპუნაშვილი ლელა (დიპლომი ჩვეულებრივი)".

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №13162 (სარეგისტრაციო №01/578) რეგისტრირებულია ლელა პაპუნაშვილის სახელზე. წარმოდგენილი დიპლომის ასლიდან ჩანს, რომ ლელა პაპუნაშვილი **„1999 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 2004 წელს დაამთავრა აღნიშული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18-19 ივნისის გადაწყვეტილებით ლელა პაპუნაშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი"**.

ლელა პაპუნაშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18-19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში დაფიქსირებულ ხარისხთან.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რომ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18-19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1) გადაწყვეტილებით ლელა პაპუნაშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, მინიჭებული ხარისხის ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცით"*** მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით"***.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ლელა პაპუნაშვილს** მინიჭებული ხარისხის ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**

ეკონომისტის კვალიფიკაცით“ მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 18-19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლის კურსდამთავრებულ-თათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხების კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№4733/29, 20.06.2016). მასში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა 2002 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ **პაატა სორდიასთვის** კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის (აკადემიური ხარისხი) კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ პაატა სოსოს ძე სორდია 1998 წელს მისაღების გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მაკროეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 05.08.1998).

ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 3 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 25 ივლისის №4/956 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ პაატა სორდიას მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

2002 წლის დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BH №02430 (სარეგისტრაციო№01/358) რეგისტრირებულია პაატა სორდიას სახელზე.

პაატა სორდიას სახელზე მომზადებული დიპლომის დანართიდან ირკვევა, რომ **„პაატა სორდია დაბადებული 1980 წელს, 1998 წლიდან 2002 წლამდე სწავლობდა და 2002 წელს დაამთვარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით - მაკროეკონომიკა“**.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ითხოვს ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის 2002 წლის კურსდამთავრებულ პაატა სორდიასათვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაკონკრეტება.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ პაატა სორდიას მინიჭებული ხარისხის ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცით“*** მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“***.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის 2002 წლის კურსდამთავრებულ პაატა სორდიას მინიჭებული ხარისხის ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 3 ივლისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (მოდულური) ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 თებერვლის #59 და 2016 წლის 15

თებერვლის #77 ბრძანებების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (მოდულური) შევიდა ცვლილებები.

პროფესიულ პროგრამებს: საბაჟო საქმის სპეციალისტი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, შემფასებელი, ტუროპერატორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, დაემატა მოდულები:

1. სამოქალაქო განათლება (პედაგოგი ივანე მჭედელაძე);
2. ქართული ენა A2 (პედაგოგი მურად კემულარია);
3. ქართული ენა B1 (პედაგოგი ნანა სირაძე).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: შევიდეს შემდეგი ცვლილებები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო (მოდულურ) პროგრამებში:
პროფესიულ პროგრამებს: საბაჟო საქმის სპეციალისტი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, შემფასებელი, ტუროპერატორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, დაემატოს მოდულები:

1. სამოქალაქო განათლება (პედაგოგი ივანე მჭედელაძე);
2. ქართული ენა A2 (პედაგოგი მურად კემულარია);
3. ქართული ენა B1 (პედაგოგი ნანა სირაძე).

მოისმინეს: ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში თავისუფალი არჩევითი კურსის დამატების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსულია ტურიზმის სკოლის დირექტორის, აკად. დოქტორის სერგო მელაძის, დირექტორის მოადგილის, აკად. დოქტორის მამუკა ხუსკივაძის და მთავარი სპეციალისტის აკად. დოქტორის მერაბ ზედგინიძის წერილი #4404/29, 01.06.2016, რომლითაც ითხოვენ შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე სასწავლო კურსის ,,ტურიზმი და

რეკრეაცია მსოფლიო რეგიონებში“ (სილაბუსის ავტორია გეოგრაფიის დოქტორი, ასოც. პროფ. ნინო პავლიაშვილი) ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში თავისუფალი სასწავლო კურსის სახით შეტანას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: შეტანილ იქნეს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსი ,,ტურიზმი და რეკრეაცია მსოფლიო რეგიონებში“ თავისუფალი სასწავლო კურსის სახით.

მოისმინეს: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტის - „კვლევითი პროექტი“-ს ხელმძღვანელობისთვის საათობრივი დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსულია ტურიზმის სკოლის დირექტორის, აკად. დოქტორის სერგო მელაძის და მთავარი სპეციალისტის აკად. დოქტორის მერაბ ზედგინიძის წერილი, რომლითაც ითხოვენ შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა განისაზღვროს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობისთვის საათობრივი დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების ოდენობა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ე.ხარაიშვილმა, ასისტ. პროფ. ვ. არღუთაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: განისაზღვროს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობისათვის საათობრივი დატვირთვის ოდენობა 5 საკონტაქტო

საათით, ხოლო საათობრივი ანაზღაურების ოდენობა - 1 საკონტაქტო საათისთვის 15 ლარით.

მოისმინეს: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ ჩატარების და დაფინანსების შესახებ.

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ 2016 წლის 11-12 ნოემბერს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ ჩატარება. კონფერენცია ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის იუბილეს. კონფერენციის მიზანია ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება. კონფერენციის ბიუჯეტი განისაზღვრება 12 000 ლარით.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ დაფინანსდეს 12 000 ლარის ოდენობით ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

მოისმინეს: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე/

ბ-მა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა საერთაშრისო სკოლას (ISET) წარმოდგენილი აქვს ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც შესწავლის პროცესშია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დატალური განხილვა და მისი შესაბამისობაში მოყვანა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის რეგულეციებთან ადმინისტრაციული,

სასწავლო, ფინანსური, იურიდიული მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მან აღნიშნა, რომ თსუ რექტორთან შეთანხმებით გადაწყდა შეიქმნას საუნივერსიტეტო დროებითი კომისია ISET-ის საკითხთან დაკავშირებით, რომელშიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან წევრებად შევლენ:

1. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი - დეკანის მოადგილე;
2. პროფესორი ქეთევან მარშავა;
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. აკაკი მიქაბერიძე - ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო საკითხებში;
5. გვანცა ხასია - უფროსი სპეციალისტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ISET-ის საკითხთან დაკავშირებით, საუნივერსიტეტო დროებით კომისიაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან შევიდნენ შემდეგი წევრები:

1. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი - დეკანის მოადგილე;
2. პროფესორი ქეთევან მარშავა;
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. აკაკი მიქაბერიძე - ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო საკითხებში;
5. გვანცა ხასია - უფროსი სპეციალისტი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე